



სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობის ანგარიში 2020 წელი

*Covid19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებები;
სააგენტოს დებულებით და 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული
საქმიანობა;*



სააგენტოს შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, რაც მიიღწევა სააგენტოს მიერ შესაბამისი წესების შემუშავების, გამოცემისა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობის გზით.

სააგენტოს ამოცანებია: საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების კუთხით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და ღირებულებების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის, აეროპორტების და საჰაერო მოძრაობის მართვის ქსელების განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.



Covid-19 პანდემია და დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებები

COVID 19-ის პანდემიამ უპრეცედენტო ზიანი მიაყენა ავიაციის სფეროს. დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით, დღის წესრიგში დადგა საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვის საკითხი, რამაც მსოფლიოში ათი ათასობით რეისის მოულოდნელი გაუქმება და მგზავრთა გადაადგილების გართულება გამოიწვია. ამასთან, ავიაცია აღმოჩნდა ის დარგი, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ეპიდემიის ეფექტურ მართვაში და საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად ჩაერთო დაავადების გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებში. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, სააგენტოს წინაშე რამდენიმე ამოცანა იდგა: დროულად მომხდარიყო რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა მაღალი რისკის ქვეყნებთან, მიგვეღო აუცილებელი ზომები მგზავრთა და პერსონალის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის, აღნიშნული პრევენციული ღონისძიებების დაცვით, დაგვეგეგმა სპეციალური რეისები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით, მოგვეზიდინა სამედიცინო ტვირთის დროული ტრანსპორტირების ორგანიზება და ფრენების მხრივ სრულიად არაპროგნოზირებად პირობებში, აღმოგვეჩინა მგზავრებისთვის საჭირო ინფორმაციული მხარდაჭერა.

- რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დროული შეზღუდვა და საქართველოს მოქალაქეების ორგანიზებული დაბრუნება ქვეყანაში

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, დროებით შეწყვიტა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (29 იანვარი, 2020 წელი), შემდეგ ირანთან (23 თებერვალი, 2020 წელი) და იტალიასთან (6 მარტი, 2020 წელი). პარალელურად ამოქმედდა მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ჯანდაცვის უწყებების ინფორმირება მაღალი რისკის ქვეყნებიდან ჩამომსვლელი მგზავრების შესახებ.

2020 წლის 21 მარტიდან, სრულად შეწყდა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა საქართველოდან და საქართველოს მიმართულებით. შეზღუდვა არ გავრცელდა სარეპატრიაციო, სატვირთო, სამთავრობო, სამხედრო, ამბულატორიულ, ავარიულ, ტექნიკური დაჯდომის მიზნით განსახორციელებელ ფრენებზე. როგორც ამ შემთხვევაში, ისე შემდგომაც, საქართველოს



საჰაერო სივრცის მომხმარებლების, ავიაკომპანიების და ეკიპაჟის წევრების საყურადღებოდ, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უზრუნველყოფს NOTAM-ის პერიოდულ გამოცემას და გამოქვეყნებას საჰაერო მიმოსვლის კუთხით დაწესებული შეზღუდვების შესახებ.

რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვის პირობებში, იდენტიფიცირებულ იქნა ის ქალაქები სადაც მაღალი იყო საქართველოს მოქალაქეთა კონცენტრაცია ან შესაძლებელი იქნებოდა მოქალაქეთა სხვადასხვა მიმართულებებიდან მობილიზება. შედეგად, ასეთი ქალაქებიდან დაიგეგმა და შესრულდა არაერთი რეისი. მთავრობის ხელშეწყობით, საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით, გახორციელდა 40-მდე სპეციალური რეისი. აღნიშნული რეისებით მოხერხდა საქართველოს 6000-მდე მოქალაქის უსაფრთხო და ორგანიზებული ტრანსპორტირება. არაერთი ფრენა განხორციელდა ასევე ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრების მიზნით. სპეცრეისების გარდა, სრულდებოდა ჩარტერული და რეგულარული ფრენები, რომელთა რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა დაახლოებით 800 ფრენა. აღნიშნული ფრენების განსახორციელებლად საჭირო ნებართვების გაცემა მიმდინარეობდა და გრძელდება შეუფერხებლად, 24 საათიან რეჟიმში. ნაკადების მართვის და მოქალაქეების ორგანიზებულად დაბრუნების მიზნით, რეისები კოორდინირდება რამდენიმე უწყებასთან.

- აუცილებელი ზომების მიღება მგზავრთა და პერსონალის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის

ფრენების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს ორგანიზებით, ავიაკომპანიებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ჯანდაცვის უწყებების და ლუგარის ცენტრის წარმომადგენლების მიერ. ამასთან, ჯანდაცვის უწყებებთან თანამშრომლობით, სააგენტომ პირველ ეტაპზე უზრუნველყო ეკიპაჟების მომარაგება სპეციალური ტანსაცმლით და აღჭურვილობით. ავიაგადამზიდველებს დაევალით სპეციალური ჯანმრთელობის ფორმის დარიგება მგზავრებისთვის.

მგზავრთა და საჰაერო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულთა ჯანმრთელობის დასაცავად, ამოქმედდა სავალდებულო რეგულაციები. წესები და რეკომენდაციები შემუშავდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან თანამშრომლობით. სხვა სახელმწიფოებთან ჰარმონიზირებული და ერთგვაროვანი მოთხოვნების დადგენის მიზნით, გათვალისწინებულ იქნა ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო



ასოციაციის (IATA) რეკომენდაციები და სახელმძღვანელო მასალები. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, კონსულტაციები გაიმართა ავიასაწარმოებთან.

სააგენტო იმყოფება მუდმივ კოორდინაციაში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICAO), ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA), ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციასთან (EUROCONTROL), ევროპის საავიაციო კრიზისების საკოორდინაციო ქსელთან (EACC) და უზრუნველყოფს საქართველოში გატარებული ღონისძიებების შესახებ აღნიშნული ორგანიზაციების ინფორმირებას. ამასთან, სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოში რეგისტრირებული ავიასაწარმოებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული საინფორმაციო მასალების დაგზავნას.

სააგენტომ შეიმუშავა საგანგებო ვითარებაში მოქმედებისა და ბიზნეს უწყვეტობის შიდა გეგმა. განისაზღვრა კრიტიკული პროცესები, მოხდა ამ პროცესების შემსრულებელი პირების იდენტიფიცირება და განისაზღვრა მათი ჩანაცვლების წესი. სააგენტომ კრიტიკულ მინიმუმამდე შეამცირა ოფისში, ადგილზე მყოფი ადამიანების რაოდენობა.

- ინდუსტრიაზე პანდემიის მძიმე ზეგავლენის შერბილება

საავიაციო ნორმატიული აქტებით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული გარკვეული მოთხოვნების შემსუბუქების მიზნით, მიმდინარე წლის აპრილში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ დაამტკიცა დროებითი საშელავათო ღონისძიებები სერტიფიცირებული სუბიექტების მიმართ. სააგენტომ შეისწავლა წამყვანი საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (ICAO, EASA, FAA) მიერ, პანდემიის ფარგლებში მიღებული ანალოგიური შემარბილებელი მექანიზმები და გაიზიარა ის მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს გარკვეული მოთხოვნების შემსუბუქებას - ფრენის უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების სტანდარტების სრულად შენარჩუნებით. პირობები ძირითადად ითვალისწინებს გარკვეული მოწმობების, სერტიფიკატების და საშვების მოქმედების ვადების გახანგრძლივებას და/ან მოთხოვნების შემსუბუქებას. შეღავათები დაუწესდა ავიაკომპანიებს, პილოტებს, ბორტინჟინერებს, საავიაციო უშიშროების პერსონალს, სახიფათო ტვირთების მომსახურე ოპერატორებს. ბრძანებით განსაზღვრული საშელავათო პირობების მოქმედება გრძელდება.

საჰაერო მიმოსვლის შეჩერებით გამოწვეულ ფინანსურ სირთულეებთან გამკლავების, ავიასაწარმოების ლიკვიდობისა და ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების რეკომენდაციების და სხვადასხვა სახელწმიფოების მიერ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, სააგენტოს მიერ, ავიაკომპანიებს



გადაუვადდათ ბილეთის საფასურის ანაზღაურების ვალდებულება. საწყის ეტაპზე, რეგულაცია ითვალისწინებდა ავიაკომპანიებისთვის COVID 19-ის გამო გაუქმებული ფრენების ბილეთების ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას რეგულარული რეისების აღდგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ. თუმცა, ვინაიდან ეპიდსიტუაციის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, არაპროგნოზირებადი გახდა საჰაერო მიმოსვლის აღდგენის კონკრეტული თარიღი, სააგენტომ განსაზღვრა ჩამკეტი ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც ავიაკომპანიებს წარმოეშვათ ვალდებულება მოახდინონ მგზავრის მიერ გამოუყენებელი ბილეთის საფასურის ანაზღაურება. შესაბამისად, მგზავრს, რომლის ფრენაც გაუქმდა პანდემიის მიზეზით, უფლება აქვს მოითხოვოს გამოუყენებელი ბილეთის საფასურის ანაზღაურება, 2021 წლის პირველი იანვრიდან.

- ეკიპაჟების მოზიდვის ინიციატივა

სააგენტოს მიერ ინიცირებულ იქნა ეკიპაჟების თბილისის აეროპორტში მოზიდვის ინიციატივა - მათ მიერ ტექნიკური დაშვების განხორციელების და საქართველოში დასვენების მიზნით. შემუშავდა შესაბამისი წინადადება ავიაკომპანიებისთვის და აეროპორტის მიწისზედა მომსახურების ოპერატორებისთვის. გეოგრაფიული მდებარეობის, ნებართვების მიღების გამარტივებული პროცედურების და მიღებული უსაფრთხოების ზომების (მომზადდა პროტოკოლი ეკიპაჟების უსაფრთხო ტრანსპორტირების და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ სასტუმროებში განთავსების შესახებ) გამო, პროექტი მიმზიდველი გახდა უცხოური ავიაკომპანიებისთვის. შედარებისთვის, 2020 წლის 22 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში შესრულდა 575 ფრენა ტექნიკური დაშვების (საწვავის შევსება და სხვ.) მიზნებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი მხოლოდ 171 ფრენა. საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ, პირველი ეკიპაჟი საქართველოში დასასვენებლად ჩამოფრინდა 2020 წლის 13 აპრილს. 13 აპრილიდან 31 დეკემბრამდე, ეკიპაჟის დასვენების მიზნით შესრულდა 753 ფრენა. საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 3500 ეკიპაჟის წევრი - სხვადასხვა ვადით. პროექტში ჩაერთვნენ ახალი ავიაკომპანიები: Antonov, Air X Charter, Air Hamburg, Harmony Jet, Ukrainian Wings, Fleet Air და სხვა. პროექტმა ამ ეტაპზე ჯამურად დაახლოებით 7 მილიონის შემოსავალი მოუტანა სერვისის მიმწოდებლებს (აეროპორტი, სააერონავთო მომსახურების საწარმო, საწვავ გამმართველი საწარმო, ბაზრის სხვა შედარებით მცირე მოთამაშეები). ამასთან, ინიციატივა ხელს უწყობს საჰაერო ნაკადების უწყვეტობის შენარჩუნებას საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვის პერიოდში, სასტუმროების და სატრანსპორტო კომპანიების დატვირთვის უზრუნველყოფას და სხვ.



EUROCONTROL-ის წევრმა სახელმწიფოებმა და მათ შორის საქართველომ, ავიაინდუსტრიისთვის 1.1 მლრდ ევროს მოცულობის გადასახადების გადავადების საკითხს დაუჭირეს მხარი. ინიციატივის თანახმად, ავიაკომპანიებს მარშრუტზე სააერნოსნო მომსახურების გადასახადი გადაუვადდათ შემდეგი სქემით: მიმდინარე წლის თებერვლის გადასახადის გადახდის ბოლო ვადა განისაზღვრა 2020 წლის ნოემბერში, მიმდინარე წლის მარტის – 2021 წლის თებერვალში, მიმდინარე წლის აპრილის – 2021 წლის მაისში, ხოლო მიმდინარე წლის მაისის – 2021 წლის აგვისტოში.

- რეგულარული საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივი აღდგენა

2020 წლის აგვისტოდან დაიწყო რეგულარული საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივი აღდგენა საქართველოდან/საქართველოს მიმართულებით. ფრენები განახლდა მიუნხენი - თბილისი - მიუნხენის (Lufthansa), რიგა - თბილისი - რიგის (Air Baltic) და პარიზი - თბილისი - პარიზის (AIRFRANCE) საჰაერო ხაზებზე. ოქტომბერში, განახლდა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა რიგა - ქუთაისი - რიგის საჰაერო ხაზზე (Wizz Air), თუმცა, ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, ამ მიმართულებით რეისების შესრულება შეწყდა. ნოემბრიდან, რეგულარული საჰაერო მიმოსვლა განახლდა ამსტერდამის, ვენის, ბერლინის (Georgian Airways) და დოჰას (Qatar Airways) მიმართულებებით (ნოემბრამდე აღნიშნულ საჰაერო ხაზებზე ხორციელდებოდა ჩარტერული რეისები). სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ასევე დააკმაყოფილა სხვადასხვა ავიაკომპანიის განაცხადი ცალკეული კომერციული ჩარტერული რეისების შესრულებაზე, რომლებიც საქართველოდან პირდაპირი თუ ტრანზიტული მიმართულებებით მგზავრების გაყვანაზეა ორიენტირებული. ჩარტერული ფრენები დაინიშნა სტამბოლის, ათენის, ვარშავის, კიევის, თელ ავივის და მინსკის მიმართულებებით.

- ფრენების თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირება

COVID 19 პანდემიის გამო შექმნილი ვითარების ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა მგზავრების, სახელმწიფო უწყებების, დაინტერესებული ოპერატორების დროული ინფორმირება ფრენებზე სანდო ინფორმაციით. 2020 წლის მარტიდან, სააგენტოს თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ ვებ-გვერდზე ფრენის განრიგის მუდმივ რეჟიმში განახლებას, მომხმარებლებისთვის საჭირო კონსულტაციების გაწევას - ასობით სატელეფონო ზარის და კვირაში საშუალოდ 300-დან 500-მდე შეტყობინების პასუხს სოციალური გვერდის მეშვეობით. სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა ფრენებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, საქართველოს



შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისა (122) და საქართველოს მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზისათვის (144). ამასთან, სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელი მოხალისეობრივად იყო ჩართული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საგანგებოდ შექმნილი ცხელი ხაზის მუშაობაში.

- სატვირთო გადაზიდვები, სამედიცინო ტვირთის ტრანსპორტირება

პანდემიის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამედიცინო ტვირთის დროულმა ტრანსპორტირებამ. სააგენტო აქტიურად ჩაერთო PCR ტესტების, პირბადეების დასამზადებლად სხვადასხვა ნედლეულის, სამედიცინო დანიშნულების საშუალებებისა და აღჭურვილობის ტრანსპორტირების ორგანიზების პროცესში, რაც მოიცავდა მიმართულებების მიხედვით ავიაკომპანიების მოძიებას, მათი პირობების და შესაძლებლობების შესწავლას, რეისების ორგანიზებას და კოორდინაციას.



2020 წლის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები ციფრებში

COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოსა და სხვა ქვეყნებში დაწესებული სამოგზაურო შეზღუდვების (რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, სასაზღვრო რეჟიმების გამკაცრება, სანიტარული მოთხოვნების შემოღება) გამო, საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა.

გასული წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტები ჯამში 833 846 მგზავრს მოემსახურა. 2019 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადი 84%-ით (4 375 620 მგზავრით ნაკლები) არის შემცირებული. აღსანიშნავია, რომ 2011-2019 წლებში, საქართველოში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 24%-ით იზრდებოდა და მგზავრთნაკადის კლება მხოლოდ გასულ წელს, პანდემიის პირობებში დაფიქსირდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 590 123 მგზავრს მოემსახურა, რაც 84%-ით (3 102 013 მგზავრით) ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის თორმეტი თვის მონაცემებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 79%-ით შემცირდა. სულ გადაყვანილ იქნა 183 873 მგზავრი, რაც 689 743 მგზავრით ნაკლებია ვიდრე 2019 წელს აეროპორტის მიერ მიღებული მგზავრების რაოდენობა.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 51 412 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 92% ით (572 739 მგზავრით) ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია გასული წლის დაჯამებული მონაცემებით 3 165 მგზავრს მოემსახურა, რაც 5 460 მგზავრით, შესაბამისად 63%-ით ნაკლებია ვიდრე 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. ამბროლაურის აეროპორტმა განვლილ თორმეტ თვეში 1 214 მგზავრი მიიღო, რაც 752 მგზავრით ნაკლებია (-38%) ვიდრე 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში მომსახურებული მგზავრების რაოდენობა.



2020 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 7 133 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული რეისების რაოდენობა შეადგენდა 3 495-ს, ხოლო ჩარტრები - 3 638-ს. 2019 განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისებმა მნიშვნელოვნად, 71%-ით (17 253 რეისით) იკლო.

სამგზავრო გადაყვანებისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებია კლება სატვირთო გადაზიდვების კუთხით, რაც განპირობებულია იმით, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში საქართველოში სატვირთო საჰაერო მიმოსვლა არ შეჩერებულა. 2020 წელს, საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 19 266,220 ტონა შეადგინა, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 24 800,741 ტონა. შესაბამისად ტვირთბრუნვა 22%-ითაა შემცირებული.

საჰაერო მიმოსვლის კუთხით, სხვა ქვეყნების მიერ დაწესებული ანალოგიური შეზღუდვების ფონზე, 53%-ით შემცირდა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენება. სულ დაფიქსირდა 66 782 გადაფრენა. შედარებისთვის, 2019 წელს საქართველოს საჰაერო სივრცეში 140 972 ერთეული გადაფრენა შესრულდა.

2020 წელს სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ, გაიცა სულ 2704 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა 13 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის.

2020 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე კვლავ “Wizz Air” ლიდერობს. დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია ბაზრის 23%-იან წილს ფლობს. 12% და 6%-იანი წილობრივი მაჩვენებლებით მეორე და მესამე ადგილზე “Turkish Airlines”-ი და “Georgian Airways”-ი იმყოფებიან. რეგულარული საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივი აღდგენის პერიოდში, საქართველოს საავიაციო ბაზარზე სამგზავრო ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი ავიაკომპანიები: Georgian Airways, Lufthansa, Air France, Qatar Airways, Turkish Airlines, Pegasus, LOT Polish Airlines, Aircompany Armenia, SkyUp Airlines, Belavia, Israir, Aegean Airlines და SCAT.

2020 წლის განმავლობაში კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ახალი მიმართულებით სამგზავრო რეისები არ განხორციელებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა სატვირთო ავიაკომპანიამ - ჯეო სქაიმ დაიწყო რეგულარული სატვირთო რეისების განხორციელება 2 ახალი მიმართულებით - ფრანკფურტისა და ჩენჩოუს მიმართულებით.

რეგულარული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტული წილის მიხედვით პირველი ათეული ასე გამოიყურება:



1. ავიაკომპანია Wizz Air - 172 012 მგზავრი 23%;
2. ავიაკომპანია Turkish Airlines - 86 562 მგზავრი 12%;
3. ავიაკომპანია Georgian Airways - 43 106 მგზავრი 6%;
4. ავიაკომპანია Belavia - 39 858 მგზავრი 5%;
5. ავიაკომპანია Pegasus - 36 050 მგზავრი 5%;
6. ავიაკომპანია SkyUp Airlines - 34 383 მგზავრი 5%;
7. ავიაკომპანია Fly Dubai - 32 232 მგზავრი 4%;
8. ავიაკომპანია Lufthansa - 26 197 მგზავრი 4%;
9. ავიაკომპანია Air Arabia – 26 073 მგზავრი 4%;
10. ავიაკომპანია Qatar Airways – 21 922 მგზავრი 3%;

პროცენტული თანაფარდობა ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებს შორის შემდეგია: 7% ქართული ავიაკომპანიები (50 777 მგზავრი) და 93% უცხოური ავიაკომპანიები (692 260 მგზავრი). 2020 წელს, რეგულარული რეისებით საქართველოს აეროპორტებში გადაყვანილია 743 037 მგზავრი, სულ რეგულარული და ჩარტერული რეისებით კი - 833 846 მგზავრი.

COVID 19-ის პანდემიამ უპრეცედენტოდ დიდი ზიანი მიაყენა ავიაციის სფეროს. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მონაცემებით, 2020 წელს, სამგზავრო ავიაგადაზიდვების მოცულობა მთელს მსოფლიოში დაახლოებით 60%-ით შემცირდა. არასახარბიელო პროგნოზებია საჰაერო მიმოსვლის აღდგენით პროცესთან დაკავშირებითაც. მაგალითისთვის, ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) ყველაზე ოპტიმისტური სცენარით, ევროპის რეგიონი 2019 წლის საჰაერო მოძრაობის მაჩვენებლებს 2023 წელს მიუახლოვდება, ხოლო 2024 წელს გადაუსწრებს. აღნიშნული იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ვაქცინა 2021 წელს გლობალურად ჩაეშვება მიმოქცევაში. ამავე სცენარის პირობებში, საქართველო 2019 წლის მაჩვენებლებს 2022 წელს დაუბრუნდება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლების გაუმჯობესებას 2023 წელს შეძლებს. გლობალურად, COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის 2022 წელს ჩაშვების შემთხვევაში, გასული წლის მაჩვენებლებთან მიახლოებას ქვეყანა 2023 წელს შეძლებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვაქცინა არაეფექტური აღმოჩნდება, საჰაერო მოძრაობის 2019 წლის მაჩვენებლებს როგორც საქართველო, ისე ევროპის რეგიონი 2024 წელსაც ვერ დაუბრუნდება.



სააგენტოს დებულებით და 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა

რეგულირება / კანონშემოქმედებითი საქმიანობა

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ იმუშავა **საქართველოს საჰაერო კოდექსში** შესატან ცვლილებებზე (ცვლილებები მიღებულია), რომლის მიხედვითაც, კომერციულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვად ითვლება არა მარტო საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიის მიერ კომერციული მიზნით მგზავრის, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა, არამედ საჰაერო ხომალდის „ეკიპაჟიანი იჯარით“ გადაცემა სხვა ექსპლუატანტისთვის. შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიველისთვის, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდის „ეკიპაჟიანი იჯარით“ გადაცემას სავალდებულო გახდა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მოპოვება, რაც საავიაციო უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის კიდევ ერთ, ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ამასთან, **N1008/2008 ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით**, შეიცვალა გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრება. გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მიღების უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომლის დამფუძნებელი ან/და ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელია საქართველოს მოქალაქე/მოქალაქეები, საქართველოს სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულ(ებ)ი;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ იმუშავა „**საქართველოს საჰაერო სივრცეში სარაკეტო-საარტილერიო სროლის, ასაფეთქებელი და სხვა სახის სამუშაოების უსაფრთხო წარმოების წესზე**“ (მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის N692 დადგენილება). წესის მიზანია ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საქართველოს საჰაერო სივრცეში სარაკეტო-საარტილერიო სროლის, ასაფეთქებელი და სხვა სახის სამუშაოების სამართლებრივი მოწესრიგების გზით. ნორმატიული აქტი ადგენს რაკეტის, რაკეტა-



მოდელის გაშვების, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის გამოყენების, პიროტექნიკური ნაკეთობის გაშვების წესებსა და პირობებს.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 4 მარტის ბრძანებით (N21-1/110) დამტკიცდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების ახალი წესი (ამოქმედდა 2020 წლის 1 ნოემბრიდან). ახალი საფასურების შემუშავების მიზანია:
 - ✓ განვითარებული ქვეყნების მიერ აპრობირებულ ეფექტურ მოდელზე გადასვლა;
 - ✓ სააგენტოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
 - ✓ მოქნილი და გამარტივებული მეთოდოლოგია - გადასახადების სახეობების შემცირება;
 - ✓ ავიასპეციალისტების მომართვიანობის წახალისება და პროცესის გამარტივება - ფიზიკური პირებისთვის საფასურების გაუქმება;
 - ✓ მცირე ავიაციის სტიმულირება - გადასახადების მოხსნა;
 - ✓ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და საჰაერო ფლოტის გაახალგაზრდავების ხელშეწყობა (გაძვირდა საჰაერო ხომალდის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 20 წელზე მეტი ასაკის მქონე საჰაერო ხომალდებისთვის. სანაცვლოდ, ავიაპარკის ასაკის გაახალგაზრდავების ხელშეწყობის მიზნით, სრულად გათავისუფლდა საფასურისაგან 20 წლამდე საჰაერო ხომალდის დარეგისტრირება;
 - ✓ ქართული და უცხოური ავიაკომპანიების თანაბარ პირობებში ჩაყენება;
 - ✓ ადმინისტრირების გაუმჯობესება, პროცესის გამჭვირვალებობა;
 - ✓ ICAO-ს მომდევნო აუდიტისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფა (კვალიფიციური/გამოცდილი ტექნიკური პერსონალის მოზიდვა, აყვანა და შენარჩუნება)

ნორმატიული აქტით მოხდა ბიზნესისთვის უფრო გამჭვირვალე, მარტივი და მოქნილი პირობების დადგენა სააგენტოს მომსახურებებით სარგებლობისთვის. შეიცვალა საფასურების კატეგორიზაცია და ნაცვლად 211 ქვესახეობისა, დარჩა საფასურების მხოლოდ 14 კატეგორია. მომსახურების საფასურის გადახდისგან სრულად განთავისუფლდნენ ავიასპეციალისტები, სასწავლო დაწესებულებები, მცირე ავიაცია,



ხოლო ნაწილობრივ ავიასაწარმოები (მათ შორის ავიაკომპანიები), რომლებიც გადაიხდიან მხოლოდ პირველადი სერტიფიცირების საფასურს;

- ცვლილებები შევიდა **აეროდრომის სერტიფიცირების წესში** (2013 წლის 30 დეკემბრის №267 ბრძანება). ნორმატიული აქტის თანახმად, რისკის შეფასების საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნის გათვალისწინებით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, შეიძლება ნაწილობრივ შემსუბუქდეს საავიაციო უშიშროების მოთხოვნები აეროდრომის ექსპლუატანტის მიმართ და მას დაუწესდეს ის მინიმალური და პროპორციული სასერტიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს აეროდრომზე საავიაციო უშიშროების ზომების ეფექტურად განხორციელებას. ცვლილებების ძალაში შესვლით, სააგენტომ ასევე მოახდინა ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული **ევროპული რეგულაციის (1254/2009) დანერგვა**;

შედავათები განისაზღვრა საავიაციო უშიშროების მოთხოვნებზე იმ აეროდრომების მიმართ, საიდანაც ხორციელდება ფრენები მხოლოდ ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

- ა) 15 000 კგ-მდე მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებით;
- ბ) ვერტმფრენებით;
- გ) საავიაციო სამუშაოების შესასრულებლად;
- დ) იმ ავიაგადამზიდველების, საჰაერო ხომალდების მწარმოებლების და ტექნიკური მომსახურების საწარმოების მიერ, რომლითაც არ ხორციელდება მგზავრების, საბარგო ნაკვეთურით გადასაზიდი ბარგის, ტვირთის ან ფოსტის გადაყვანა-გადაზიდვა;
- ე) საწარმოს პერსონალის, მგზავრების ან საქონლის გადაზიდვის მიზნით, 45 500 კგ ან ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებით განხორციელებული არაკომერციული ფრენები, რომლებიც სრულდება საწარმოს საქმიანობის მიზნით.

- სააგენტომ დაამტკიცა **სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების სერტიფიცირების ახალი წესი** (2020 წლის 13 ნოემბრის N176 ბრძანება) . ნორმატიული აქტის ცვლილების მიზანია საავიაციო საწვავის მიღების, შენახვის, გაცემის და საჰაერო ხომალდების საავიაციო საწვავით გამართვის მოქმედი პროცესების და პროცედურების სრულყოფა JIG სტანდარტების (სავიაციო საწვავის ხარისხის კონტროლისა



და საექსპლუატაციო პროცედურების საერთაშორისო სტანდარტები) გათვალისწინებით. ამასთან ახალი წესით ხდება საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა იმ საწვავ-გასამართი საწარმოებისთვის, რომლებიც არ იმყოფებიან აეროდრომის/ვერტოდრომის კონტროლირებად ტერიტორიაზე.

- ICAO-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **ცვლილებები შევიდა „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესში“** (2013 წლის 19 აგვისტოს N142 ბრძანება), კერძოდ გამოიცა AOC-ის N1 დანართის ახალი რედაქცია;
- **ცვლილებები შევიდა „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესებში“** (2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანება). დოკუმენტი შესაბამისობაში მოვიდა ICAO-ს VI დანართის, I ნაწილის 2018 წლის გამოცემის მოთხოვნებთან;
- **ცვლილებები შევიდა „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესში“** (2013 წლის 11 ოქტომბრის №205 ბრძანება). განისაზღვრა რეგისტრაციის სერტიფიკატის მისაღებად შემოტანილ განაცხადზე დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
- **ცვლილებები შევიდა „მგზავრის გარდაცვალებისას/სხეულის დაზიანებისას, მგზავრის გადაყვანის ან/და ბარგის გადაზიდვის შეფერხებისას, ბარგის დაკარგვისას, დაზიანებისას ან განადგურებისას საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის მოვალეობების განსაზღვრის წესში“** (2017 წლის 14 ივნისის №96 ბრძანება). ცვლილების თანახმად, კომპენსაციის ოდენობები შესაბამისობაში მოვიდა „საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1999 წლის 28 მაისის მონრეალის კონვენციასთან. კერძოდ, ავიაგადამზიდველს/მომსახურე ავიაგადამზიდველს არ აქვს უფლება, უარყოს ან სადავო გახადოს კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა, თუ მისი ოდენობა არ აღემატება 128 821 SDR-ს. მგზავრთა გადაყვანის შეფერხების შემთხვევაში კომპენსაცია შეიძლება განისაზღვროს 5346 SDR-მდე ოდენობით. ბარგის გადაზიდვის შეფერხების შემთხვევაში კომპენსაცია შეიძლება განისაზღვროს 1288 SDR-მდე ოდენობით, ხოლო ბარგის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების კომპენსაცია შეიძლება განისაზღვროს 1288 SDR-მდე ოდენობით.



- ცვლილებები შევიდა „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესში“ (2017 წლის 14 ივნისის N95 ბრძანება). ცვლილების თანახმად, 2021 წლის 1 იანვრიდან, ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის მინიმალური დაზღვევის ვალდებულება ბარგთან და ტვირთთან მიმართებაში შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის რეგულაციასთან და შეადგენს: ბარგზე – 1 288 SDR-ს თითოეულ მგზავრზე კომერციული ფრენისას; ტვირთზე – 22 SDR-ს თითოეულ კილოგრამზე კომერციული ფრენისას.
- ცვლილებები შევიდა „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებში“ (2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანება). წესში გათვალისწინებული იქნა ICAO-ს I დანართის და ევროპული რეგულაციის 1178/2011 მოთხოვნები, კერძოდ, გაუქმდა საჰაერო ხომალდის კლასიფიცირება თანრიგების მიხედვით, განისაზღვრა საფრენოსნო ეკიპაჟის წევრთა მწყობრში შესვლის, ოსტატობის მინიჭების, სწავლების გავლის, ასევე ინსტრუქტორთა მიმართ მოთხოვნები და სხვა.
- სააგენტომ მიიღო უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის ახალი წესი (2020 წლის 25 სექტემბრის N156 ბრძანება), რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან. ახალი წესი მიზნად ისახავს საქართველოს საჰაერო სივრცეში უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე ერთგვაროვანი სამართლებრივი მოთხოვნების არსებობას საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. სხვა მოთხოვნებთან ერთად, წესი ადგენს 250 გრამზე მეტი მასის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის რეგისტრაციის მოთხოვნას. წესის მიღებით, სააგენტომ მოახდინა ევროკომისიის რეგულაციების (N945/2019 და N947/2019) დანერგვა საქართველოს კანონმდებლობაში.
- დამტკიცდა „დასახლებულ ადგილას კონტროლირებადი მიწისზედა არის თავზე პირდაპირი ხედვის არეში სტანდარტული სცენარი STS01 უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის წესი“ (2020 წლის 12 ოქტომბრის N163 ბრძანება). წესი არეგულირებს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციას სტანდარტული სცენარი STS01 შესაბამისად, რომელიც ხორციელდება დასახლებულ ადგილას, კონტროლირებადი მიწისზედა არის თავზე პირდაპირი ხედვის არეში და ადგენს მოთხოვნებს, როგორც ექსპლუატაციის, ისე დისტანციური პილოტის კომპეტენციის,



უპილოტო საჰაერო ხომალდის და ექსპლუატანტის მიმართ. ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

- დამტკიცდა „დაუსახლებელ ადგილას, კონტროლირებადი მიწისზედა არის თავზე ვიზუალური დამკვირვებლით პირდაპირი ხედვის არის მიღმა სტანდარტული სცენარი STS02 უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ (2020 წლის 29 ოქტომბრის N171 ბრძანება). წესი არეგულირებს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციას სტანდარტული სცენარი STS02 შესაბამისად, რომელიც ხორციელდება დაუსახლებელ ადგილას, კონტროლირებადი მიწისზედა არის თავზე, ვიზუალური დამკვირვებლით პირდაპირი ხედვის არის მიღმა და ადგენს მოთხოვნებს როგორც ექსპლუატაციის, ისე დისტანციური პილოტის კომპეტენციის, უპილოტო საჰაერო ხომალდის და ექსპლუატანტის მიმართ.
- ცვლილებები შევიდა „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესში“ (2013 წლის 27 დეკემბრის №263 ბრძანება). განისაზღვრა დამატებითი მოთხოვნები საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვების მომსახურებაში ჩართული პერსონალისთვის.
- ცვლილებები შევიდა „სავაიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოში“ (ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს - სსიპ - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის 2003 წლის 16 დეკემბრის №8 ბრძანება). ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციის (EU No 965/2012 Specialised operations (SPO)) გათვალისწინებით, შემუშავდა შვეულმფრენით თოვლზე მოსრიალეთა მომსახურების (Heli Skiing) უფლების მინიჭების სახელმძღვანელო მასალა, კერძოდ, გაიწერა შვეულმფრენით თოვლზე მოსრიალეთა მომსახურების უფლების მისაღებად ექსპლუატანტის ვალდებულებები, საფრენოსნო ეკიპაჟის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სტანდარტული საექსპლუატაციო პროცედურები და სხვა;
- ცვლილებები შევიდა „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების და საფრენოსნო ექსპლუატაციის წესში (2019 წლის 17 ივლისის №142 ბრძანება). ცვლილებების თანახმად, დამატებით განისაზღვრა განმცხადებლის ადგილზე ინსპექტირების პირობები, ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით (Commission Regulation (EU) No 1178/2011 Aircrew), ეკიპაჟის სწავლებას დაემატა ექსპლუატანტის საკვალიფიკაციო



შემოწმება, ასევე განისაზღვრა ექსპლუატანტის ფარგლებში საწვავ-საპოხი მასალების მომარაგებაზე, შენახვაზე და გამოყენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის, ასევე ზსხ-ის საწვავით გამართვაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები.

- ცვლილებები შევიდა "საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესში" (2016 წლის 23 მაისის №66 ბრძანება). შედეგად, წესით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდა ჩიკაგოს მე-14 დანართის 1 ტომთან, დადგინდა ბაქანზე არსებული სამიმოსვლო ბილიკების სისტემის კვეთის პროცედურები და განისაზღვრა პასუხისმგებლობები.
- ცვლილებები შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 27 ივლისის №135 ბრძანებაში. ცვლილებების თანახმად განისაზღვრა სპეციალიზებული ექსპლუატაციის ინსპექტორის (SPO), უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის ინსპექტორის (UAS), ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციის და ექსპლუატანტის სერტიფიცირების ინსპექტორის (ULA-OPS), ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების ინსპექტორის (ULA-FCL) და საერთო დანიშნულების ავიაციის ინსპექტორის (GAU) საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ცვლილებები ასევე შევიდა „სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 აგვისტოს №166 ბრძანებაში. ინსპექტირების ობიექტებს დაემატა უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემა, უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტი და ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი.



სერტიფიცირება

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, შპს „EASY Charter“-ზე საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი გაიცა. ავიაკომპანია EASY Charter ჩარტერულ სატვირთო გადაზიდვებს ახორციელებს. ამ ეტაპზე ავიაკომპანიის ბაზირების ადგილია საქართველო და იგი ქართული საფრენოსნო პერსონალით არის დაკომპლექტებული;
- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადა გაუგრძელდა შემდეგ ავიაკომპანიებს: შპს „ავიაკომპანია თუშეთი“, შპს „სკაი ტრეველი“, შპს „სერვისეირი-ServiseAir“, შპს „ავიასერვისი“, შპს „აკ-ეარ ჯორჯია“, შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“. გაუქმდა შპს „ბრავო აირ“-ის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი.
- 2020 წელს, დაიწყო სააერნოსნო მომსახურების საწარმოს რესერტიფიცირება ახალი, "სააერნოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის" შესაბამისად, რომელიც სააგენტომ ევროკომისიის N2017/373 რეგულაციის შესაბამისად მიიღო და 2020 წლის 1 აპრილიდან მოქმედებს. რესერტიფიცირების პროცესი გააუმჯობესებს სააერნოსნო მომსახურებების ხარისხს და ხელს შეუწყობს ფრენების უსაფრთხოების შემდგომ ამაღლებას. რესერტიფიცირების პროცესი 2021 წლის დასაწყისში დასრულდება;
- 2020 წელს, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა და ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი გაიცა 3 ერთეულ საჰაერო ხომალდზე. რეესტრიდან ამოღების სერტიფიკატი გაიცა 5 ერთეულ საჰაერო ხომალდზე.
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, გაიცა საავიაციო სატვირთო ტერმინალის სერტიფიკატი შპს „ქუთაისი კარგო სერვისზე“. აღნიშნული ორგანიზაცია ორიენტირებულია მხოლოდ ცოცხალი ცხოველების მომსახურებაზე. აღსანიშნავია, რომ ქუთაისში საავიაციო სატვირთო ტერმინალი საერთოდ არ არსებობდა;
- ავიასამედიცინო ცენტრის, ავიასამადიციწო ექსპერტის და ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესის შესაბამისად, რომელიც სააგენტომ ევროპული N1178/2011 რეგულაციის მიხედვით შეიმუშავა, შპს „აეროპორტის მრავალპროფილიან პოლიკლინიკას“ რესერტიფიცირება ჩაუტარდა. ცენტრი ავიასპეციალისტების სამედიცინო



კვლევას, პირველი, მეორე და მესამე კლასის სამედიცინო სერტიფიკატის, აგრეთვე ბორტგამყოლის სამედიცინო სერტიფიკატის გაცემას ახალი რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს, ამასთან, მის მიერ გაცემული სამედიცინო სერტიფიკატები თავსებადი გახდა ევროკავშირის მოთხოვნებთან, რაც საქართველოში აღებული მოწმობების აღიარებას შეუწყობს ხელს;

- სააგენტოს უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების დეპარტამენტის მიერ, უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერატორ კომპანია „კოპტერს“ სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციის უფლება მიენიჭა. სერტიფიკატი ოპერატორს შესაძლებლობას აძლევს აწარმოოს ისეთი ტიპის და სირთულის სამუშაოები, რომელიც არ არის დაშვებული ღია კატეგორიაში (სპეციალური ტვირთის დაკიდებით საავიაციო სამუშაოს განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დამტვერვა/შეწამვლითი სამუშაოების განხორციელება და სხვ.), აღნიშნული კი, ხელს უწყობს დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდებით მიღებული სერვისების განვითარებას საქართველოში;
- განხორციელდა სასწავლო დაწესებულებების - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ სერტიფიცირება. სააგენტომ შეიტანა წარმოდგენილი სასწავლო პროცესის და პროცედურების სახელმძღვანელო. სათანადო განაცხადისა და განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებების მიერ სერტიფიცირებული 21 სასწავლო დაწესებულების აღიარება.
- საწვავ გამმართველი საწარმოს სერტიფიკატი მიენიჭა ორ კომპანიას: შპს გუდაური ჰელისქიინგს (სტაციონალური/მობილური საწვავ გამმართველი საშუალებები დაბა სტეფანწმინდაში და კურორტ გოდერძიზე) და შპს ავიაკომპანია ჯეო სქაის (სტაციონალური და მობილური საწვავ გამმართველი საშუალებები თელავსა და ბახმაროში). საწარმოები JET A-1 ტიპის საწვავის მიღებას, შენახვას, გაცემას და მცირე ზომის საჰაერო ხომალდების გამართვას საერთაშორისო სტანდარტების (JIG) შესაბამისი სტაციონალური და მობილური მოდულებით ახორციელებენ. საწვავ-გასამართი საწარმოების ფუნქციონირება ხელს უწყობს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში საჰაერო მიმოსვლის განვითარებას.



ავიაკომპანიების ფინანსური მდგრალობის და საიმედოობის შეფასება

საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისა და ფრენების უსაფრთხოების ზედამხედველობის პარალელურად, 2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრალობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს. 2020 წლის განმავლობაში, სააგენტოს საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი ახორციელებდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას, ანალიზს და მუდმივ ზედამხედველობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

- მპს „იზი-ჩარტერ“-ზე გაიცა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა;
- საჰაერო-გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის შვიდმა მფლობელმა საწარმომ წარმოადგინა 2019 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- პანდემიის მძიმე ზეგავლენის შერბილების, ქართული ავიაკომპანიების საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების და რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეჩერებით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავების მიზნით, სააგენტომ 2021 წლის პირველ ივლისამდე (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის N76 ბრძანება „ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში საავიაციო საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“) შეაჩერა „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის №98 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც წარმოადგენს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის შეჩერებისა და გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს, 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში ავიაგადამზიდველის მიერ არსებული და პოტენციური ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, ავიაკომპანიებს დროებით მოეხსნათ შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალდებულება.



პერსონალის ლიცენზირება / სერტიფიცირება

- 2020 წლის განმავლობაში, გაიცა 25 ავიასპეციალისტის მოწმობა, მოქმედების ვადა გაუგრძელდა სამოქალაქო ავიაციის სხვადასხვა ავიასპეციალისტის 237 მოწმობას, აგრეთვე არსებულ მოწმობებში შეტანილი იქნა 260-ზე მეტი სხვადასხვა სახის საკვალიფიკაციო აღნიშვნები განმცხადებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე. ასევე, განხორციელდა სხვა ქვეყნის 65 ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება.
- 2020 წელს განხორციელდა პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის მინიჭება -5; პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ვადის გაგრძელება - 6.
- შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე გაიცა 24 მასწავლებლის მოწმობა და უარი ეთქვა 2 მასწავლებლობის კანდიდატს;
- გაიცა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 7 მოწმობა. მოქმედების ვადა გაუგრძელდა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 34 მოწმობას;
- განხორციელდა სახიფათო ტვირთების 2 ინსტრუქტორის სერტიფიცირება. გაიცა შესაბამისი ინსტრუქტორის მოწმობები;
- გაიცა/გაგრძელდა 309 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი. სააგენტოს წარმომადგენლები ონლაინ თავმჯდომარეობდნენ აღნიშნული პერსონალის 10 საგამოცდო კომისიას.


საშვების გაცემა

- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები:

საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრის საშვი - 187 ცალი;

თანამშრომლის პირადი საშვები - 33 ცალი;


თანამშრომლის მანქანის საშვი - 10 ცალი;



ინსპექტირება / ზედამხედველობა

Covid-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, ასევე, სააგენტოს/ავიასაწარმოების პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის და დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის განმავლობაში, მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში დაგეგმილი შემოწმებები ტარდებოდა კორექტირებული / შეცვლილი გრაფიკით.

- 2020 წლის განმავლობაში, სააგენტოს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელდა 3 სასერტიფიკაციო და 25 შუალედური/გეგმიური ინსპექტირება. ბაქანზე საჰაერო ხომალდების ინსპექტირებები ჩატარდა შემდეგი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდებს: შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ (5), შპს „თი სი ეი“ (5), შპს „სერვისეირი-ServiseAir“ (3), შპს „ავიასერვისი“ (2), შპს „აერო ექსპედიშენი“ (2), შპს „ავიაკომპანია „ჯეო სქაი“ (3), შპს „აკ-ეარ ჯორჯია“ (2), შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“ (1), შპს „იზი ჩარტერი“ (2). განხორციელდა ასევე პილოტების მარშრუტზე შემოწმება (1) და პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები (1);
- სააერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის კუთხით, 2020 წელს განხორციელდა „საქაერონავიგაციის“ ინსპექტირება, რომლის ფარგლებშიც, სააგენტოს სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტმა მოახდინა დიად დარჩენილი ნაკლოვანებების შესრულების სტატუსის გადამოწმება, საწარმოს ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემების, საჰაერო მოძრაობის ორგანიზების, საავიაციო კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურების, საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების, ფრენის პროცედურების დიზაინის მომსახურების, საავიაციო რუკების შედგენის, ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების, საავიაციო პერსონალის პროფესიული მომზადების (ATO/ATCO) შემოწმება. სააერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების შეთანხმების ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში, სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტის მიერ, შეთანხმებულ იქნა სააერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა ავტომატიზირებული სისტემა LETVIS-ის დამატებითი სამუშაო პოზიციების და ფუნქციების დანერგვას;
- სააგენტოს აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა თბილისის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტების აეროდრომების, ასევე თელავის



ადგილობრივი დანიშნულების აეროდრომის საინსპექციო შემოწმება. უზრუნველყოფილ იქნა სამი საწვავ გამმართველი საწარმოს ინსპექტირება („ა-ბე-ვე“, „ჯორჯიან ეარვეისი“ და „ჯორჯიან პეტროლიუმი“);

- „წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს აეროპორტებში დაშვებული საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის შესახებ“ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების (EU Ramp Inspection Programme SAFA) წლიური გეგმით გათვალისწინებული ინსპექტირებები რეგულარულ საჰაერო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვების და შესაბამისად, რეისების რაოდენობის სიმცირის გამო, ჩატარდა არასრულად;
- სახიფათო ტვირთის გადაზიდვის ზედამხედველობის კუთხით, სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ინსპექტირებები საქართველოს ტერიტორიაზე. შემოწმდნენ ავიაკომპანიები (28), საავიაციო სატვირთო ტერმინალები (4), დანიშნული საფოსტო ოპერატორი (1), აეროპორტების ოპერატორი (1), ტვირთამგზავნები (3). ამასთან, განხორციელდა საქართველოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 11 ინსპექტირება.
- სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის მიერ, ზედამხედველობის/საავიაციო უშიშროების ხარისხის კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საწარმოების ხარისხის კონტროლი: შპს „ფინკო“, შპს „საქართველოს ფოსტა“, შპს თბილისის კარგო სერვისი“, შპს „ლასარე“, შპს „გუდაური ჰელისკინიგი“; ა/კ „ჯეოსქაი“; შპს „ჯორჯიან ეარსერვისი“; ა/კ „თუშეთი“; ა/კ „ჯორჯიან ეარვეისი“; ა/კ „ავიასერვისი“; ა/კ „სერვისეარი“; ა/კ „აეროექსპედიშენი“; ა/კ „თი სი ეი“; ა/კ „ჯორჯიან ეარვეისი“; შპს „კარგო სერვისი ქუთაისი“; თელავის აეროდრომი „მიმინო“; განხორციელდა შემდეგი უცხო ქვეყნის ავიადამზიდველების შემოწმება: ა/კ „პეგასუსი“; ა/კ „ვიზუარი“; ა/კ „ქემპ ეარლაინსი“;
- სასწავლო დაწესებულებების მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში, სააგენტოს ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირების და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, ჩატარდა შემდეგი ინსპექტირებები: სასერტიფიკაციო - 1 (შპს „საქართველოს საავიაციო



უნივერსიტეტი“), შუალედური/გეგმიური - 1. სასწავლო დაწესებულებების გეგმიური და სასერტიფიკაციო შემოწმებების რაოდენობის შემცირება, COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად, განაპირობა „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების წესში“ ცვლილებამ, რომლის თანახმადაც, სერტიფიცირებას დაექვემდებარნენ მხოლოდ ის სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ ავიასპეციალისტთა პირველად მომზადებას, აგრეთვე, გადასწავლების და პერიოდული მომზადების იმ სასწავლო კურსებს, რომელთა შედეგებიც აისახება ავიასპეციალისტის მოწმობაში ოსტატობის ჩანაწერის სახით.

ტექნიკური საშუალებების/სისტემების აღიარება

- 2020 წლის განმავლობაში, სააგენტოს სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტის მიერ, აღიარებულ იქნა 21 რადიოსადგური;

ფრენის პროცედურების განხილვა და დასკვნის მომზადება

- სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტის მიერ განხილულ და დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი სახელსაწყო ფრენის შემდეგი პროცედურები: Instrument Approach-UGTB RWY 31L-LOCz; Instrument Approach-UGTB RWY 31L-ILSy; Instrument Approach-UGTB RWY 31L-ILS; Instrument Approach-UGTB RWY 31L-LOCy; Instrument Approach-UGTB RWY 31L-VOR; Instrument Approach-UGTB RWY 13R-ILS; Instrument Approach-UGTB RWY 13R-ILS; Instrument Approach-UGTB RWY 13R-LOCz; Instrument Approach-UGTB RWY 13R-LOCy; Instrument Approach-UGTB RWY 13R-VOR; Standard Departure-UGTB RWY 13R; Standard Departure-UGTB RWY 31L; Standard Departure-UGTB RWY 13R/31L; Standard Arrival-UGTB RWY 13R და Standard Arrival-UGTB RWY 31L



მგზავრთა უფლებების დაცვა

- 2020 წლის განმავლობაში, სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული მგზავრთა უფლებების დაცვის ზედამხედველობით საქმიანობაში. განხილულ იქნა დაახლოებით 65 საჩივარი, რომლებიც შემოვიდა მგზავრებისა და შუამავალი ორგანიზაციების მხრიდან, ფრენის დაგვიანების, ფრენის გაუქმების და/ან ფრენაზე უარის თქმის თაობაზე;
- 2020 წელს, შპმ პირების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან საჩივარი არ შემოსულა;
- განხორციელდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შემოწმება შპმ პირების უფლებების დაცვის კუთხით.

საფრენი მოედნების პროექტი

საქართველოში საფრენი მოედნების მოწყობის შესაძლებლობების დადგენის მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ ხდება სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილზე რელიეფის, არსებული მადლივი დაბრკოლებების, შეფრენა-გაფრენის ზონებში არსებული შენობა ნაგებობების და გაბატონებული კლიმატური პროცესების შესწავლა და სხვ.

- უმოქმედო და ახალი საფრენი მოედნების მოწყობის შესაძლებლობის დადგენის მიზნით სააგენტომ 2020 წელს შეისწავლა 51 მუნიციპალიტეტში არსებული მოედნები. COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, გასული წლის მარტიდან სააგენტომ შეწყვიტა მივლინებები. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები ამ ეტაპზე შეჩერებულია. ინფორმაციისთვის, დღეის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულ იქნა 231 წერტილი, სადაც ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია საფრენი მოედნის მოწყობა და ექსპლუატაცია.



კონსულტაციების გაწევა/პროექტების შეთანხმება

კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უზრუნველყოფს დაინტერესებული სუბიექტების კონსულტირებას, ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული, ლოგისტიკური პროექტის, ტექნიკური მოწყობილობის საავიაციო სტანდარტებთან და რეკომენდირებულ პრაქტიკასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2020 წლის განმავლობაში, სააგენტომ უზრუნველყო:

- კონსულტაციები თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლთან დამაკავშირებელი ახალი სამიმოსვლო ბილიკის მოწყობასთან დაკავშირებით;
- კონსულტაცია (მათ შორის, ადგილზე გასვლით), შპს „გუდაური ჰელიკინგი“-ს მიერ დაბა მესტიაში საფრენი მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით;
- ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის გაფართოებასთან დაკავშირებული ბაქნის მარკირების ცვლილებების და სადგომების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შეფასების განხილვა და კონსულტაცია;
- წნორის აეროდრომის განვითარებასთან დაკავშირებული კონსულტაცია;
- ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის ელექტრო ტურბინების განთავსების ადგილებთან და ნიშანდებასთან დაკავშირებული კონსულტაციები;
- კონსულტაცია სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ელექტროგადამცემი ხაზის ნიშანდებასთან დაკავშირებით;
- შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სეტყვაზე ზემოქმედების სამუშაოების წარმოებისათვის სპეციალურად ადჟურვილი საფრენი აპარატის ექსპლუატაციის მიზნით, აეროდრომისთვის საჭირო ტერიტორიის მოძიება და კონსულტაცია;
- საავიაციო უშიშროების უზრუნველსაყოფი ტექნიკური მოწყობილობებისა და მათი სატესტო ობიექტების ავიასაწარმოს მიერ შესყიდვის შეთანხმება;
- აეროპორტებში შენობების, ნაგებობების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმება, საავიაციო უშიშროების ასპექტების გათვალისწინებით.



საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

- 2020 წელს, ევროკავშირმა „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოს და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“ (CAA-A) შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციას და საავიაციო ბაზრების ეტაპობრივ ურთიერთგახსნას, ქვეყნის მიერ, საავიაციო კანონმდებლობის ევროგაერთიანების რეგულაციებთან სრულად ჰარმონიზების შემდგომ. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით და ფრენების უსაფრთხოებისა და მგზავრთა ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამოქალაქო ავიაციის სააგენტო თანმიმდევრულად ახორციელებს საავიაციო უსაფრთხოებასთან, უშიშროებასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან და საჰაერო მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის რეგულაციების დანერგვას. „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში, სააგენტოს მიერ უკვე სრულად დაინერგა ჩვიდმეტი, ხოლო ნაწილობრივ - ოცდაათზე მეტი რეგულაცია და დირექტივა.
- 2020 წლის განმავლობაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე მონაწილეობას იღებდა დისტანციურ ფორმატში გამართულ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებში, როგორც წამყვან საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან, ისე საავიაციო ხელისუფლებების პირველ პირებთან. ICAO-ს ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა შეხვედრის თავმჯდომარის მოადგილის რანგში, სააგენტოს დირექტორი ჩართული იყო ICAO-ს ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა ონლაინ შეხვედრებში (EURNAT-DGCA Meeting), ასევე EUROCONTROL-ის მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის რანგში, აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობაში. ამ და სხვა საერთაშორისო ფორმატის ღონისძიებებზე, განიხილებოდა ავიაციაზე COVID 19-ის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებები, საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივ აღდგენასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, ოპერირების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისათვის აუცილებელი ზომები, საჰაერო ტრანსპორტში დასაქმებულთა და



მგზავრთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემუშავებული საერთაშორისო გაიდლაინები და სხვა.

- განვლილი წლის განმავლობაში, სააგენტო მუდმივ კოორდინაციაში იმყოფებოდა ყველა წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICAO, EASA, EUROCONTROL, IATA) და უზრუნველყოფდა საქართველოში გატარებული ღონისძიებების შესახებ მათ ინფორმირებას.
- საქართველოსა და ტაილანდის სამეფოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რითაც ორ ქვეყანას შორის პირდაპირი რეგულარული ფრენების შესასრულებლად ცალკეული პირობები და პროცედურები განისაზღვრა. აღსანიშნავია, მემორანდუმის ხელმოწერით დაინტერესებულ ავიაკომპანიებს საშუალება ეძლევათ დაიწყონ პირდაპირი რეგულარული ფრენების განხორციელება მთავრობათაშორისი შეთანხმების გაფორმებამდე და მის ძალაში შესვლამდე.
- სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი მთავრობათაშორისი შეთანხმებების პროექტების შემუშავების პროცესში: შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიბანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ტაილანდის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ. სააგენტომ ასევე იმუშავა საქართველოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის 2014 წელს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებებზე.
- სააგენტოს სააერნოსნო მომსახურების დეპარტამენტი ჩართული იყო ICAO-ს უსაფრთხოების (GASP-SG) და სააერნოსნო მომსახურების (GANP-SG, GIPEG) გლობალურ ჯგუფებში და პერსონალის და ტრეინინგების პანელში (PTLP), ასევე რეგიონალურ



ევროპულ (ESANCG, Safety TeB, ATM/ANS TeB) და იკაოს (PCG, RESG, SAR TF, LPRI TF, PTEAST, GANP-PT) ჯგუფებში.

- სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვებს დეპარტამენტი აქტიურად იღებდა მონაწილეობას ევროპის საავიაციო ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) ფარგლებში შექმნილი სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე მომუშავე ჯგუფის (DGELG) კონსულტაციებში.
- სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი ჩართული იყო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საავიაციო უშიშროების რეგიონალური ჯგუფის (ENAVSECG) მუშაობაში.
- სააგენტოს უპილოტო საჰაერო სისტემებისა და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა უპილოტო საჰაერო სისტემების მარეგულირებელი საავიაციო ხელისუფლებების გაერთიანების (JARUS) საქმიანობაში.
- სააგენტომ ორგანიზება გაუწია ქვეყნის შიდა შესარჩევ კონკურსს, EUROCONTROL-ის ახალგაზრდული საავიაციო ქსელის პროგრამით (YOUNG AVIATION NETWORK PROGRAMME) გათვალისწინებულ ორ-კვირიან სწავლებაზე საქართველოდან კანდიდატურის წარდგენის მიზნით. კონკურსი წარიმართა ორ ეტაპად: კანდიდატების შერჩევა და გასაუბრება. სწავლებაზე გასამგზავრებლად, სააგენტომ ქვეყნის გამარჯვებული გამოავლინა, თუმცა პროექტი გადაიდო პანდემიის გამო.
- კანადის ტრანსპორტის სამინისტროს ორგანიზებით, გასულ წელს, „უსაფრთხო ცის“ ფორუმი გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს სახელით, „უსაფრთხო ცის“ ინიციატივას შეუერთდა სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე. დოკუმენტის თანახმად, ქვეყნები თანხმდებიან, რომ გააღრმავებენ თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: კონფლიქტის ზონებში სამოქალაქო ფრენების თაობაზე ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და მაფრთხილებელი შეტყობინებების ურთიერთგაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება, ეროვნული მოთხოვნების შემუშავება ავიაგადამზიდვლებისთვის და მათთვის რისკების შეფასების მოთხოვნა უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში, საავიაციო ხელისუფლებებს შორის კოორდინაციის გაღრმავება და სხვა.



სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტურობის ამაღლება

- 2020 წელს, დამტკიცდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ახალი შინაგანაწესი. დოკუმენტის განახლების მიზანია სააგენტოს გამართული მუშაობის ხელშეწყობა, დასაქმებულთა მიერ, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის გაზრდა, სააგენტოში ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დასაქმებულთა სოციალური გარანტიების შემოღება და სხვა;
- დამტკიცდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული საქმისწარმოების ინსტრუქცია. ინსტრუქციის მიზანია, სააგენტოს მომსახურების ხარისხის ამაღლება, სანდოობა, ეფექტურობა, ოპერატიულობა, უსაფრთხოება და უწყების შიგნით ორგანიზაციულ-სამართლებრივად სწორი და მოქნილი საქმისწარმოების სახელმძღვანელო სტანდარტის დამკვიდრება;
- განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში დაცული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება („ეროვნული არქივის“ მომსახურების შესყიდვა). სააგენტოს საარქივო დოკუმენტები დამუშავდა პირველად. სახელმწიფო არქივის დოკუმენტების კომპლექსური შემფასებელი ექსპერტიზის შედეგად შედგენილ იქნა მუდმივად და ხანგრძლივად (75 წელი) შესანახ საქმეთა 10 ანაწერი (1998-2018 წლები). დოკუმენტები მოყვანილ იქნა სრულ სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოქმედი საარქივო წესების დაცვით;
- 2020 წელს, სააგენტოს ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსი არ გამოუცხადებია. COVID-19 პანდემიის გამო, სააგენტოს 2020 წლის თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების გეგმით გათვალისწინებული სწავლებების უმრავლესობა ვერ იქნა უზრუნველყოფილი.
- 2020 შემუშავდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ახალი ლოგოს კონცეფცია და ესკიზი (წრეში ე.წ. negative space ჭრა, რითაც გამოსახულია საფრენი აპარატი, კურსით დასავლეთისკენ, საჰაერო ხომალდი გამოსახავს G (Georgian) და C (Civil Aviation Agency) სიმბოლოებს, გარე წრე - ჰარმონიის სიმბოლო). უწყების ლოგო შეიცვალა 2021 წლის იანვრიდან.



საზოგადოებასთან ურთიერთობა და სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის კუთხით, 2020 წელს, სააგენტო უზრუნველყოფდა: მომხმარებელთა ინფორმირებას გაუქმებულ ფრენებზე; სიახლის/რელიზის/განცხადების მომზადებას და გავრცელებას; სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მედიასთან ურთიერთობას; სააგენტოს ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფას; სამოქალაქო ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და ცნობიერების ასამაღლებელი მასალების მომზადებას.
- 2020 წელს, სააგენტოში შემოვიდა 21 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქედან, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არ დაფიქსირებულა უარის თქმის არცერთი შემთხვევა.
- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს მიერ, რეგულარულად ხორციელდება ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე.
- ინფორმაციის ღია და დაუბრკოლებელი გაცვლის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების განთავსება ხდებოდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ განყოფილებაში („ნორმატიული აქტების პროექტები“).

სოციალური პასუხისმგებლობა

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლიდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2020 წლის განმავლობაში, ფონდისთვის 5 430 ლარის მობილიზება მოხერხდა. პანდემიის პირობებში, თანამშრომლებმა პირადი შემოწირულობები განახორციელეს ასევე StopCov ფონდში. დახმარება გაუწია ერთ-ერთი ცხელი ხაზის მიერ გამოვლენილ შეჭირვებულ ოჯახს. სააგენტომ ორგანიზება გაუწია სისხლის გადასხმის აქციას.



2021 წელს დაგეგმილი აქტივობები:

- გაგრძელება COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის კუთხით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება, ასევე ტექნიკური კონსულტაციები და სამუშაოები რეგულარული საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივი აღდგენის კუთხით;
- იგეგმება საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების ევროპული სტანდარტების დანერგვა;
- იგეგმება საავიაციო ტექნიკური პერსონალის მოწმობის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან;
- გაგრძელება მუშაობა საჰაერო ხომალდის ვარგისობის შენარჩუნების პროცესის ევროპულ მოდელზე გადასასვლელად;
- იგეგმება "სპეციალური ნებართვის გაცემის წესის" (SPA)-ის დანერგვა-ამოქმედება;
- იგეგმება საავიაციო დაბრკოლებათა კონტროლის, რეგულირების (შეზღუდვის) პროცესის დახვეწა აეროდრომის დაცვის არეში;
- იგეგმება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ლიცენზირების პროცესის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან;
- იგეგმება სპეციალიზირებული და საერთო დანიშნულების ავიაციის რეგულირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- იგეგმება დრონების ონლაინ რეგისტრაციის პლატფორმის ამოქმედება;
- გაგრძელება სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირების არსებული წესების დახვეწა, ასევე საფრენი მოედნების რეგისტრაცია და აღრიცხვა;
- გაგრძელება ვერტიმფრენების საფრენი მოედნების მოწყობის და ექსპლუატაციისთვის ხელსაყრელი წერტილების შერჩევის და რუკის შემქნის პროცესი;
- ამოქმედდება სააგენტოს ახალი ვებ-გვერდი.

საქმიანობის ანგარიში 2020 წელი



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency